სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის კონკურენციის პრობლემა სამოქალაქო სამართალში

ციცი ქრისტესიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სვანაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ციცი ქრისტესიაშვილი

2021 წელი

აბსტრაქტი

პასუხისმგებლობის გრძნობა ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რასაც უნდა განიცდიდეს სამოქალაქო-სამართლებრივი ბრუნვის ყველა მონაწილე, როდესაც დებს ხელშეკრულებას, ან სხვაგვარად ერთვება ვალდებულებით ურთიერთობაში.

ვალდებულების შესრულება, ხშირ შემთხვევაში, მხარისათვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, თუმცა მისი სუბიექტური დამოკიდებულება არ ათავისუფლებს დაკისრებული მოვალეობისაგან და ამ დროს კანონი იწყებს მოქმედებას.

ვალდებულების დარღვევას პასუხისმგებლობა მოყვება, რომელიც ზიანის ანაზღაურებაში გამოიხატება. იმის მიხედვით თუ ვალდებულების რა სახეზე გვაქვს საუბარი, პასუხისმგებლობაც შესაბამისი იქნება, თუმცა რა ხდება მაშინ როცა პასუხისმგებლობის კონკურენციას აქვს ადგილი? როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ქმედებას და ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის გამო რომელი საფუძვლით უნდა მოხდეს? სახელშეკრულებო თუ დელიქტური?

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ვალდებულების წარმოშობის ეს ორი საფუძველი - სახელშეკრულებო და დელიქტური. პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები, მათი ურთიერთმიმართება ეროვნული კანონმდებლობისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. რა მაგალითს გვაძლევს სასამართლო პრაქტიკა და რა რეკომენდაციები შეიძლება შევიმუშაოთ იმისათვის, რომ სამართლის მეცნიერებაში მეტად გამარტივდეს ამ კითხვაზე პასუხი.

საძიებო სიტყვები:

დელიქტი, ხელშეკრულება, ვალდებულება, კონკურენცია, სახელშეკრულებო სამართალი, დელიქტური სამართალი

Abstract

A sense of responsibility is an important factor that all participants in the civil turnover must experience when entering into a contract, or otherwise engaging in a relationship of obligation.

The performance of the obligation is, in many cases, a certain difficulty for the party, although his subjective attitude does not relieve him of the duty imposed and at this time the law enters into force.

Breach of liability is subject to liability, which is reflected in the compensation for damages. Depending on what kind of obligation we are talking about, liability will also be relevant, however what happens when liability competition takes place? What qualifications should be given to the action and on what grounds should the compensation for non-performance of the obligation be made? Contractual or tortious?

This paper will discuss these two grounds for the origin of an obligation - contractual and tortious. Prerequisites for imposing liability, their relationship under national law and the German Civil Code. What example does court practice give us and what recommendations can we develop to make the answer to this question much easier in legal science?